ა(ა)იპ – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალის საჯარო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ.ახალციხე

10.04.2013წ.

ერთი მხრივ, ა(ა)იპ – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, სრული პროფესორის მერაბ ბერიძის სახით და მეორე მხრივ, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალის საჯარო სკოლა (შემდგომში–სკოლა) წარმოდგენილი დირექტორის ნელი დუდუგჩიანის სახით, ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისაკენ და მხედველობაში იღებენ ურთიერთთანამშრომლობის საჭიროებას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1

მემორანდუმის ძირითადი მიზანია სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა და სკოლის მოსწავლეთა ინტერესებისაკენ მიმართული ურთიერთობა კულტურისა და სპორტის სფეროში.

მუხლი 2

მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები თანხმდებიან ერთობლივად უზრუნველყონ:

- კულტურული და სპორტული ღონისძიებების განხორციელება;
- საჯარო ლექციების წაკითხვა სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის და სკოლის მოსწავლეთათვის;
- ერთობლივი საქმიანობის ამსახველი ჯურნალების გამოცემა;
- ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად სხვა ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები დამატებით შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით.

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 5

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

მუხლი 6

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მის გაუქმებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

ა(ა)იპ – სამცხე –ჯავახეთის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

ასპინძის მუნიციპალიტეტის
სოფელ დამალის საჯარო სკოლა

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სრული პროფესორი

მერაბ ბერიძე

ბ.ა

დირექტორი

ნელი დუდუჩიანი

ბ.ა